სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

შპს „სავაჭრო ცენტრი სამგორი“ (ს/კ 406058091)

მის: ქ. თბილისი, ორთაჭალის II შეს., N 12

განცხადება

(თანხმობა)

გაცნობებთ, რომ 2013 წლის 19 ნოემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, შპს „სავაჭრო ცენტრი სამგორი“-ს საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი მდებარე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #36/ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, მეტროსადგურ „სამგორის“ ზედა ამოსასვლელის მიმდებარედ (ნაკვეთი 10/041), (შენობა-ნაგებობა #1-ის I სართულზე) საკადასტრო კოდი: 01.17.10.010.046 (შემდგომში „საიჯარო ქონება“) დროებით სარგებლობაში გადაეცა შპს „ნიკორა ტრეიდი“-ს (ს/კ 206255808).

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებ, რომ ზემოაღნიშნულ ფართზე, შპს „ნიკორა ტრეიდმა“ თავისი შეხედულებისამებრ, მეიჯარის წინასწარი თანხმობის გარეშე, შეასრულოს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, განახორციელოს სარეკონსტრუქციო სამუშაოები და სხვა ისეთი ქმედებები, რაც დაკავშირებულია მის კომერციულ საქმიანობასთან, აგრეთვე მოახდინოს ფასადის ცვლილება/მოპირკეთება (მათ შორის მოაწყოს ღიობები, ვიტრაჟები, კიბეები), განათავსოს სარეკლამო აბრები, საჩრდილობლები, კონდინციონერები და სხვა საჭირო ინვენტარი, აგრეთვე უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ნებართვების მიღება.

შპს „სავაჭრო ცენტრი სამგორი“-ს დირექტორი

ნოშრევან ნამორაძე (პ/ნ: 01018000728)

ხელმოწერა: ნოშრევან ნამორაძე

თარიღი 25.11.2013

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131233471
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.11.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნათელა გაგაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ქ. წამებულის N92
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2774500;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	84601502466813

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ცამეტი წლის ოცდახუთ ნოემბერს, მე, ნოტარიუსს ნათელა გაგაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ქ.წამებულის №92-ში, პირველ სართულზე, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, ბატონმა ნოშრევან ნამორაძემ, რომელმაც წარმომიდგინა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შედგენილი **განცხადების სამი** ეგზემპლარი თითო გვერდზე და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბატონმა ნოშრევან ნამორაძემ (დაბ. 09.05.1976წ. პირადი №01018000728, მცხ.: თბილისი, ორთაჭალის II შეს. №12, ბ. №6-ში) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა, განვუმარტე მას, რომ თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტისა „ნოტარიუსი განცხადების დამოწმებისას ადასტურებს, რომ განცხადება და/ან ხელმოწერა მასზე უშუალოდ განმცხადებელს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათზე. ასევე, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტისა, „გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა.“ აღნიშნული განმარტების შემდეგ, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე **განცხადების** სამ ეგზემპლარზე თითო გვერდზე, რასაც ვამოწმებ. (და არა განცხადებაში აღნიშნული ფაქტის სინამდვილეს).

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: ცხრა (9,08) ლარი და 08 თეთრი, აქედან: საზღაური – ექვსი (6.00) ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის №507-ს) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, დღგ – ერთი (1,08) ლარი და 08 თეთრი, თანახმად „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 169-ე მუხლის I ნაწილის „ა“ პუნქტისა და ორი (2.00) ლარი - ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის №507-ს) 39-ე მუხლის I პუნქტისა.

ნოტარიუსი: ნათელა გაგაძე